

იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების  
მარკეტინგული სტრატეგია

დანართი 6

ტურიზმის სტატისტიკის ანალიზი

მომზადებულია:



თანამშრომლობით:



ბარსელონა / თბილისი, 2012 წლის 1 აგვისტო

## სარჩევი

1. მოკლე მიმოხილვა .....	6
2. იმერეთის ტურისტული ნაკადები .....	9
3. საქართველოს ტურისტული ნაკადები.....	28
4. განთავსების ობიექტები.....	35
5. დაცული ტერიტორიების ვიზიტორების სტატისტიკა .....	39



## აბრევიატურების სია

GNTA	საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
GNIA	საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო
GITOA	საქართველოს შემომყვანი ტურ ოპერატორების ასოციაცია

## დიაგრამების სია

1. იმერეთის ვიზიტორები	10
2. იმერეთის ვიზიტორების საქართველოში ჩასვლის მიზანი	10
3. იმერეთის კუთხეებში უცხოელი ვიზიტორების განაწილება ეროვნების მიხედვით	11
4. იმერეთის კუთხეებში უცხოელი ვიზიტორების განაწილება მიზნის მიხედვით	11
5. იმერეთის სასტუმროებში ტურისტების რაოდენობის ევოლუცია	12
6. იმერეთის სასტუმროებში ტურისტების რაოდენობის ზრდის ტემპები	13
7. იმერეთში ტურისტების რაოდენობის ევოლუცია წარმოშობის მიხედვით	13
8. იმერეთის სასტუმროებში უცხოელი ტურისტების ევოლუცია ჯგუფების მიხედვით	14
9. 2010 წელს იმერეთის სასტუმროებში ტურისტების განაწილება ქვეყნების ჯგუფების მიხედვით	15
10. 2010 წელს იმერ. სასტუმროებში ევროპიდან ჩასული ტურისტების განაწილება ეროვნების მიხედვით	15
11. 2010 წელს იმერეთის სასტუმროებში დსთ–დან ჩასული ტურისტების განაწილება ეროვნების მიხედვით	16
12. 2010 წელს იმერ. სასტუმროებში სხვა ქვეყნებიდან ჩასული ტურისტების განაწილება ეროვნ. მიხედვით	16
13. იმერ. სასტუმროებში ევროპის ყველაზე ხშირი სტუმარი ქვეყნების ევოლუცია წარმოშობის მიხედვით	17
14. იმერ. სასტუმროებში დსთ–ს ყველაზე ხშირი სტუმარი ქვეყნების ევოლუცია წარმოშობის მიხედვით	18
15. იმერეთის სასტუმროებში სხვა ყველაზე ხშირი სტუმარი ქვეყნების ევოლუცია წარმოშობის მიხედვით	18
16. იმერეთის სასტუმროებში სამი ყველაზე ხშირი სტუმარი ქვეყნების ევოლუცია წარმოშობის მიხედვით	19
17. 2010 წელს იმერეთის სასტუმროებში ტურისტების გადანაწილება მიზნების მიხედვით	20
18. 2010 წელს იმერეთის სასტუმროებში ქართველი ტურისტების გადანაწილება მიზნების მიხედვით	20
19. 2010 წელს იმერეთის სასტუმროებში უცხოელი ტურისტების გადანაწილება მიზნების მიხედვით	21
20. 2010 წელს ევროპის ყველაზე ხშირი სტუმარი ქვეყნების განაწილება მიზნების მიხედვით	22
21. 2010 წელს დსთ–ს ყველაზე ხშირი სტუმარი ქვეყნების განაწილება მიზნების მიხედვით	22
22. 2010 წელს სხვა ყველაზე ხშირი სტუმარი ქვეყნების განაწილება მიზნების მიხედვით	23
23. 2010 წელს ყველაზე ხშირი სტუმარი ქვეყნების განაწილება მიზნების მიხედვით	24
24. იმერეთის სასტუმროებში დარჩენების შეფასება (2010)	25
25. ადგილობრივი ვიზიტორის საშუალო დღიური დანახარჯი და დარჩენის ხანგრძლივობა	26
26. უცხოელი ვიზიტორის საშუალო დღიური დანახარჯი და დარჩენის ხანგრძლივობა	27
27. საქართველოში, სასტუმროებში დარჩენილი ტურისტების რაოდენობის ევოლუცია	28
28. საქართველოში, სასტუმროებში დარჩენილი ტურისტების რაოდენობის ევოლუცია წარმოშობის მიხედვით	29
29. საქართველოში, სასტუმროებში დარჩენილი ტურისტების ზრდის ტემპები წლების მიხედვით	29
30. 2010 წელს სასტუმროებში დარჩენილი ტურისტების განაწილება რეგიონების მიხედვით	30
31. 2010 წელს სასტუმროებში დარჩენილი ქართველი ტურისტების განაწილება რეგიონების მიხედვით	31
32. 2010 წელს სასტუმროებში დარჩენილი უცხოელი ტურისტების განაწილება რეგიონების მიხედვით	31
33. საქართველოში მოგზაური ტურისტების GNIA–ს პროგნოზი	33

იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია  
ტურიზმის სტატისტიკის ანალიზი

---

34. საქართველოში მოგზაური ტურისტების GNTA–ს პროგნოზი	33
35. იმერეთის განთავსების ობიექტები ქალაქების მიხედვით	35
36. 2010 წელს იმერეთის განთავსების ობიექტებზე ინფორმაცია	36
37. იმერეთის განთავსების ობიექტების დინამიკა	36
38. იმერეთის სასტუმროების საშუალო დატვირთულობის კოეფიციენტი	36
39. იმერეთის ერთერთი (კონკრეტული) სასტუმროს დატვირთულობა	37
40. იმერეთის სასტუმროებში დასაქმება (2010)	37
41. იმერეთის ყველაზე მსხვილი სასტუმროები	38
42. 2011 წელს იმერეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორების სტატისტიკა	39
43. 2011 წელს ბორჯომ–ხარაგაულის პარკის ვიზიტორების რაოდენობა	39
44. 2011 წელს იმერეთის ყველაზე პოპულარულ კარსტულ გამოქვაბულებში ვიზიტორების რაოდენობა	40

## 1 მოკლე მიმოხილვა

ტურიზმის სტატისტიკის კვლევა ჩატარდა, რათა უკეთ შესწავლილიყო ტურისტული ნაკადები, შეთავაზებული სერვისები და ის ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში, განსაკუთრებით კი იმერეთში, სერვისის პროცესშია ჩართული. ანგარიშის პირველი ნაწილი აღწერს გამოყენებულ ინფორმაციის წყაროებს და კვლევის მთავარ მიგნებებს.

### საინფორმაციო წყაროები

იმერეთში ტურისტული ნაკადების შესაფასებლად ორი წყარო არსებობს: საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო (GNTA) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). არსებული მონაცემების შესწავლისას, არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს ინფორმაციის წყაროს ხასიათი.

GNTA-ს მიერ იმერეთის რეგიონში ჩასული ვიზიტორების რაოდენობის შეფასება დაფუძნებულია რამოდენიმე კვლევაზე, რომელიც ჩატარდა, როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა ტურისტების მონაწილეობით (საერთაშორისო ვიზიტორების კვლევა და შიდა ვიზიტორების კვლევა). იმერეთის რეგიონში ჩასული ტურისტების საერთო რაოდენობის მისაღებად მოხდა მონაცემების განზოგადება გამოკითხულთა იმ რაოდენობის მიხედვით, ვინც უპასუხა რომ იმერეთი მოინახულა. უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტებს სთხოვეს ჩამოეთვალათ ოციოდე ადგილი, რომელიც მოინახულეს ვიზიტის დროს. ამიტომ თუკი ვიზიტორი უბრალოდ გავლით იყო იმერეთში და გზაზე მოინახულა ერთ-ერთი ადგილი მაინც, მისი პასუხი მაინც ჩაითვლებოდა იმერეთში ჩასული ტურისტების საერთო რაოდენობის შეფასებისას.

საქსტატი ითვლის რეგიონში ჩასული იმ ვიზიტორების რაოდენობას, რომლებიც არსებულ სასტუმროებსა ან სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში გაჩერდნენ. ამიტომ, საქსტატის მიერ მოწოდებულ რაოდენობაში მხოლოდ ის ვიზიტორები არიან გათვალისწინებულნი, რომლებიც ღამისთევით დარჩნენ იმერეთში. აქედან გამომდინარე, ის ვიზიტორები, რომლებიც უბრალოდ გავლით იყვნენ რეგიონში, დარჩნენ მეგობრის სახლში ან კარვებში, ან თუნდაც იქირავეს ადგილობრივის სახლი, რომელიც არ არის ოფიციალურად დარეგისტრირებული, როგორც სასტუმრო ან სასტუმროს ტიპის სახლი, საქსტატის მიერ მოწოდებულ მონაცემებში არ არის ასახული.

### არსებული მოცულობა

ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, იმერეთის რეგიონში ტურიზმის ნაკადების შესახებ მთავარი მიგნებებია:

GNTA-ს მიხედვით (10 თვიან კვლევის შედეგებზე დაყრდნობით) 2011–2012 წლებში იმერეთს ესტუმრა 740 000 ვიზიტორი, საიდანაც 155 000 იყო უცხოელი, ხოლო 585 000 - შიდა მოგზაური.

უცხოელების 54%-მა აღნიშნა, რომ იმერეთს ესტუმრა დასასვენებლად, 21% მეგობრებს და ნათესავებს სტუმრობდა, 8 %- სამსახურის საქმეზე, ხოლო 17%-მა აღნიშნა, რომ ისინი „სხვა“ მიზეზით იყვნენ ჩასულები. ამავდროულად შიდა ვიზიტორების მხოლოდ 13% იყო ჩასული დასასვენებლად, უმეტესობა მეგობრების და ნათესავების მოსანახულებლად იყო ჩასული (42%) ან „სხვა“ მიზეზით (45%). ვიზიტორების უმეტესობამ მოინახულა ქუთაისსა და მის სიახლოვეს მდებარე ადგილები (მაგ. გელათის მონასტერი, ბაგრატის საკათედრო ტაძარი, წყალტუბოს გამოქვაბულები).

საქსტატის მიხედვით, (სასტუმროში დამისთევის მონაცემებზე დაყრდნობით) იმერეთში ჩასული ტურისტების რაოდენობა (რომლებმაც ღამე სასტუმროში გაატარეს) 1999 წლიდან – 2010 წლამდე 5 500–დან 21 400–მდე გაიზარდა. ყველაზე დიდი ზრდა აღინიშნა 2009 – 2010 პერიოდში, როდესაც ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა 132%-ით; ქართველი და უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა შესაბამისად 95 და 266% 2010 წელს 2009 წელთან შედარებით.

1999 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში, საქართველოში ვიზიტორების უმრავლესობა ჩამოსული იყო ისრაელიდან, თურქეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან, ჰოლანდიიდან და იტალიიდან. 2010 წელს ვიზიტორების უმეტესობა ჩამოვიდა ისრაელიდან (2 419 ვიზიტორი), დიდი ბრიტანეთიდან (696 ვიზიტორი) და უკრაინიდან (520 ვიზიტორი). უცხოელების უმეტესობა (63%) საქმიანი ვიზიტით იყო ჩასული, 23% - „სხვა“ მიზეზით, 13%-დასასვენებლად და დაახლოებით 1%-სამკურნალოდ. ქართველი ვიზიტორებიდან კიდევ უფრო დიდი ნაწილი (85%) ესტუმრა იმერეთს საქმიანი ვიზიტით, მხოლოდ 8% - დასასვენებლად, 6%- „სხვა“ მიზეზით და 1%-სამკურნალოდ.

საქსტატი არ ითვალისწინებს საოჯახო ტიპის სასტუმროებს, თუკი ისინი არ არიან ოფიციალურად დარეგისტრირებულები, როგორც იურიდიული პირი, მაშინ როდესაც GNTA ასეთ ობიექტებს ითვალისწინებს. ამ მიზეზით, ისინი იმერეთში არსებული ოთახების და საწოლების რაოდენობის სხვადასხვა რაოდენობებს ასახელებენ. GNTA-ს მიხედვით იმერეთში 63%-ით მეტი საწოლი არსებობს, ვიდრე საქსტატი ასახელებს. შესაბამისად, საქსტატის მიერ მოწოდებული ვიზიტორების რაოდენობის ჩასწორებაა გასაკეთებელი იმისათვის, რომ მოხდეს იმ ვიზიტორების აღრიცხვა, რომლებიც დარჩნენ არარეგისტრირებულ ოჯახური ტიპის სასტუმროში. ამ მეთოდის მიხედვით, 2010 წელს იმერეთი **32 500 ტურისტმა მოინახულა** (ვინც ღამე გაატარეს რეგიონში).

საქსტატის მიხედვით, 2010 წელს მთლიანად საქართველოში ჯამში 596 000 ტურისტი ისვენებდა, რომლებიც სასტუმროში გაჩერდა. ამათგან 306 000 უცხოელი იყო, ხოლო 290 000 ქართველი. ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა 73 000–დან 596 000–მდე 1999 წლიდან 2010 წლამდე. ყველაზე მაღალი ზრდა მოხდა 2009 – 2010 წლის პერიოდში, როდესაც ვიზიტორების რაოდენობა 70%-ით გაიზარდა. განცალკევებით თუ შევხედავთ, იგივე პერიოდში, ქართველი და უცხოელი ვიზიტორების რიცხვი, რომლებიც სასტუმროში გაჩერდნენ, გაიზარდა შესაბამისად 46 და 103 %-ით.



საქსტატი ინფორმაციას ასევე გვაწვდის საქართველოს თითოეული რეგიონისთვის ცალ-ცალკე. სასტუმროებში დარჩენილების დაახლოებით 47% თბილისის სასტუმროებში გაჩერდა, 26,5% კი - აჭარაში. დანარჩენ რეგიონებს უფრო პატარა წილები უკავიათ, მათ შორის არის კახეთი (6,1 %), სამცხე-ჯავახეთი (5,8 %) და იმერეთი (3,6%).

### პროგნოზირებული მოცულობა

არსებობს ვიზიტორების მთლიანი რაოდენობის პროგნოზის ორი წყარო: საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (GNIA) და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (GNTA). 2010 წელს გაკეთებული პროგნოზით, GNIA-ს მიხედვით მომდევნო სამ წელიწადში მოსალოდნელი იყო 35%-იანი წლიური ზრდა და 2013 წლისათვის 4 920 000 ვიზიტორამდე მიღწევა. GNTA-ს გააჩნია პროგნოზი 2012 წლის ყოველი თვისათვის, რომლის მიხედვითაც 2012 წელს საქართველოს 3 373 000 ვიზიტორი ესტუმრება, მათგან ყველაზე დიდი რაოდენობა აგვისტოში (396 000 ვიზიტორი) არის ნავარაუდები.

### სასტუმროები და რესტორნები

საერთო ჯამში, იმერეთში არსებობს 68 სასტუმრო ან სასტუმროს ტიპის დაწესებულება. მათგან 33 არის სასტუმრო, 3 სასტუმროს ტიპის სახლი, 28 ოჯახური ტიპის საცხოვრებელი და 4 სანატორიუმი. არცერთი სასტუმრო არ წარმოადგენს სასტუმროების საერთაშორისო ქსელს. უფრო მეტიც, მხოლოდ ცხრა სასტუმრო შეიძლება შეფასდეს, როგორც ადგილობრივი სტანდარტებით სამ ვარსკვლავიანი სასტუმრო; დანარჩენ სასტუმროებს შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ სამ ვარსკვლავზე ნაკლები. სასტუმროების უმეტესობა პატარაა და მათი ოთახების რაოდენობა არ აღემატება 50 ნომერს. მხოლოდ ახლად აღდგენილ საირმეს სასტუმროს და წყალტუბოს სპა კურორტს გააჩნიათ შესაბამისად 150 და 104 ოთახი. ტიპური იმერეთის სასტუმრო ყველაზე მეტად დატვირთულია ზაფხულში და შემოდგომაზე და პიკს აღწევს ივლისსა და სექტემბერში დაახლოებით 93%-იანი დატვირთულობით.

## 2 იმერეთის ტურისტული ნაკადები

ანგარიშის ეს ნაწილი აღწერს იმერეთში ჩასული ტურისტების რაოდენობას უფრო დეტალურად.

### საინფორმაციო წყაროები

იმერეთში ტურისტული ნაკადების შესახებ არსებობს ორი განსხვავებული წყარო: GNTA და საქსტატი.

GNTA-ს გააჩნია მონაცემები, რომელიც 2011 წლის მაისიდან 2012 წლის თებერვლის პერიოდის განმავლობაში ჩატარებულ რამოდენიმე გამოკითხვას ეყრდნობა. საერთო ჯამში გამოკითხული იქნა 4 181 უცხოელი და 1 000 შიდა ტურისტი. რესპონდენტების რაოდენობა, რომლებმაც უპასუხეს, რომ მოინახულეს იმერეთი, განზოგადებულ იქნა იმერეთში ჩასული ტურისტების მთლიანი რაოდენობის მისაღებად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რესპონდენტებს თხოვდნენ ჩამოეთვალათ ოცამდე ადგილი, რომელიც მათ მოინახულეს ვიზიტის დროს და თუკი ერთ-ერთი მათგანი მაინც იმერეთში აღმოჩნდებოდა, ვიზიტორები იმერეთის ვიზიტორებად ითვლებოდნენ.


საქსტატს გააჩნია მონაცემები ვიზიტორების შესახებ, რომლებიც დარჩნენ იურიდიულად დარეგისტრირებულ სასტუმროში ან სასტუმროს ტიპის დაწესებულებაში.

ორივე წყარო განხილული იქნება მომდევნო ქვე-თავებში.

### ვიზიტორთა ნაკადები იმერეთში – GNTA-ის მიხედვით

GNTA-ს შეფასების მიხედვით, 2010 წელს იმერეთი მოინახულა დაახლოებით 740 000-მა ვიზიტორმა, მათგან 585 000 იყო ქართველი, ხოლო 155 000 - უცხოელი ვიზიტორი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს რიცხვები დაფუძნებულია დაახლოებით შეფასებაზე და მოიცავს იმ ადამიანებსაც, რომლებიც უბრალოდ გავლით იყვნენ იმერეთში ან დარჩნენ ისეთ განთავსების ადგილას, რომელიც არ არის დარეგისტრირებული, როგორც სასტუმრო.

### 1. იმერეთის ვიზიტორები




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (GNTA)

ვიზიტორების უმეტესობა (79%) იყო საქართველოდან, ხოლო 21 პროცენტი - უცხოეთიდან.

შემდეგი დიაგრამა გვიჩვენებს იმერეთის ვიზიტორებს, მათი საქართველოში ჩამოსვლის მიზნის მიხედვით.

### 2. იმერეთის ვიზიტორების საქართველოში ჩასვლის მიზანი



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (GNTA)

ამ მონაცემების შეფასებისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ჩასვლის მიზანი ეხებოდა საქართველოში ჩასვლის მიზანს და არა კონკრეტულად იმერეთის

მონახულებას. რესპონდენტებს თხოვდნენ, რომ ჩამოეთვალათ 20–მდე ადგილი, რომლებიც მათ მოინახულებს ვიზიტის დროს, რომელთაგანაც, ერთ-ერთი მათგანი შეიძლება ყოფილიყო იმერეთში.

ყველაზე გავრცელებული ჩამოსვლის მიზანი იყო დასვენება (54%), მას მოსდევს მეგობრების და ნათესავების მონახულება (21%) და სხვა მიზნით ჩასვლა (17%). უცხოელების მხოლოდ 8% იყო ჩასული მივლინებით. მეორეს მხრივ, ქართველი ვიზიტორების მთავარი მიზანი იყო „სხვა“ მიზანი (45%) ან მეგობრების და ნათესავების მონახულება (42%). იმერეთში ჩასული ქართველების მხოლოდ 13%–მა დაასახელა დასვენება მიზნად.

მომდევნო ცხრილები აჩვენებს უცხოელი ვიზიტორების წარმოშობას მათ მიერ მონახულებული ადგილების მიხედვით:

### 3. იმერეთის კუთხეებში უცხოელი ვიზიტორების განაწილება ეროვნების მიხედვით

#	ადგილმდებარეობა	თურქეთი	რუსეთი	სომხეთი	აზერბაიჯანი	ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა	დანარჩენი ევროპა	სხვა
1	ქუთაისი	82%	69%	86%	83%	86%	91%	87%
2	საირმე	0%	4%	0%	10%	2%	4%	0%
3	ჭიათურა	3%	10%	0%	0%	2%	1%	0%
4	ზეესტაფონი	3%	1%	0%	0%	5%	3%	0%
5	ხონი	0%	0%	0%	0%	1%	0%	0%
6	წყალტუბო	7%	10%	0%	7%	0%	0%	0%
7	ტყიბული	0%	1%	0%	0%	2%	0%	0%
8	იმერეთი	0%	4%	0%	0%	0%	0%	0%
9	სამტრედია	4%	1%	14%	0%	0%	0%	13%
10	თერჯოლა	0%	1%	0%	0%	0%	0%	0%
11	ვანი	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%
12	საჩხერე	0%	0%	0%	0%	1%	1%	0%

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (GNIA)

როგორც ცხრილში ჩანს, მონახულებების უმეტესობა კონცენტრირებულია ქუთაისში. სხვა ადგილები, რომელებიც მეტნაკლებად მნიშვნელოვან ნაკადს იზიდავენ, არიან: საირმე, ჭიათურა, წყალტუბო და სამტრედია.

ვიზიტორების ტიპის უკეთესად გასაგებად მნიშვნელოვანია განვასხვავოთ მათი საქართველოში ჩასვლის თავდაპირველი მიზეზი. შემდეგი ცხრილი უჩვენებს საქართველოში ჩასვლის მიზეზის განაწილებას მონახულებული ადგილების მიხედვით.

### 4. იმერეთის კუთხეებში უცხოელი ვიზიტორების განაწილება მიზნის მიხედვით

#	ადგილმდებარეობა	დასვენება და რეკრეაცია	მეგობრები და ნათესავები	სხვა
1	ქუთაისი	83%	83%	73%
2	წყალტუბო	5%	5%	0%
3	საირმე	4%	0%	5%
4	სამტრედია	3%	5%	0%
5	ჭიათურა	2%	2%	11%
6	ზესტაფონი	2%	2%	6%
7	დანარჩენი იმერეთი	2%	4%	4%

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (GNTA)


კიდევ ერთხელ აღსანიშნავია, რომ ჩასვლის მიზანი ეხებოდა საქართველოში ჩამოსვლას და არა იმერეთს ან რაიმე კონკრეტულ ადგილს იმერეთის ტერიტორიაზე. მიუხედავად ამისა, ეს რიცხვები მაინც შესაძლებელია გამოყენებული იქნას, როგორც იმერეთში ჩასვლის მიზნების რაოდენობებთან მიახლოებული რიცხვები.

არ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ვიზიტის მიზეზებში ადგილის მიხედვითაც, ქუთაისი კვლავ მთავარი კონცენტრაციის ადგილია ნებისმიერი სახის ვიზიტისთვის.

### ვიზიტორების ნაკადები იმერეთში – საქსტატის მიხედვით

საქსტატის მიხედვით, 2010 წელს იმერეთის სასტუმროებში ისვენებდა 21 416 ტურისტი, აქედან 14 155 ქართველი და 7 261 უცხოელი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს წყარო არ მოიცავს ვიზიტორებს, რომლებმაც ღამე არ გაატარეს იმერეთში ან დაურეგისტრირებელ განთავსების ობიექტში გაჩერდნენ.

### 5. იმერეთის სასტუმროებში ტურისტების რაოდენობის ევოლუცია



წყარო: საქსტატი

იმერეთში ჩასული ტურისტების რაოდენობა ნელ-ნელა კლებულობდა 2004 წლამდე. მას შემდეგ სერიოზული ზრდა აღინიშნა 2008 წლამდე. ამ წელს მან სერიოზული ვარდნა განიცადა. ტურისტების რაოდენობამ მცირედით მოიმატა შემდგომი წლისთვის და კვლავ დაუბრუნდა სწრაფი ტემპით ზრდას 2010-თვის. მნიშვნელოვანმა მოვლენებმა, რომლებიც ამ პერიოდში მოხდა, შესაძლოა გავლენა იქონია ამ ცვლად ტენდენციებზე, კონკრეტულად კი 2003 წლის ვარდების რევოლუციამ და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შეიარაღებულმა კონფლიქტმა. მომდევნო ცხრილი ასახავს ზრდის პროცენტებს ყოველი პერიოდისთვის.


**6. იმერეთის სასტუმროებში ტურისტების რაოდენობის ზრდის ტემპები**

#	პერიოდი		ზრდის ტემპი		
	წელი	წელი	ჯამი	ქართველები	უცხოელები
1	1999	2000	(34%)	(34%)	(36%)
2	2000	2001	(27%)	(35%)	66%
3	2001	2002	9%	4%	34%
4	2002	2003	(0%)	8%	(29%)
5	2003	2004	(29%)	(28%)	(36%)
6	2004	2005	132%	144%	57%
7	2005	2006	117%	60%	652%
8	2006	2007	26%	38%	4%
9	2007	2008	(38%)	(41%)	(30%)
10	2008	2009	15%	31%	(21%)
11	2009	2010	132%	95%	266%

წყარო: სასტატო

იმერეთში უცხოეთიდან ჩასულ ტურისტებს მხოლოდ პატარა წილი უკავიათ, უმეტესობა შიდა ტურისტები არიან. ბოლო წლებში ეს ტენდენცია ცვლას განიცდის და უცხოელი ტურისტების რაოდენობა მუდმივად იზრდება. 2010 წლისთვის უცხოელების წილი საერთო ჯამიდან 34 პროცენტს შეადგენდა.

**7. იმერეთში ტურისტების რაოდენობის დინამიკა წარმოშობის მიხედვით**



წყარო: სასტატო

უცხოელი ტურისტები დაყოფილი იქნა სამ ჯგუფად მათი წარმომავლობის მიხედვით:


- ევროპა – ევროპული ქვეყნები
- დსთ – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნები
- სხვა ქვეყნები – ქვეყნები, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში ვერ მოხვდა

ჯგუფები შერჩეული იქნა იმისათვის, რომ გამოცალკევებულიყო ქვეყნები, რომლებსაც საქართველოში ჩასვლის გრძელი ისტორია აქვთ და შესაბამისად, ბევრი იციან მის შესახებ და ქვეყნები, რომლებიც ცუდად არიან ინფორმირებული საქართველოს შესახებ.

საქართველო კარგად ცნობილი ტურისტული მიმართულება იყო საბჭოთა კავშირის პერიოდში და რადგანაც დსთ–ს ქვეყნები შედგება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისაგან, იგი პირველ ჯგუფად იქნა შერჩეული. ასევე შესაძლოა, რომ საინტერესო იყოს ევროპელი ტურისტების გამოცალკევება დანარჩენი ქვეყნების ტურისტებისგან და ამიტომ მოხდა მათი ცალკე გაერთიანება.

შემდეგი გრაფიკი აჩვენებს ტურისტების რაოდენობის დინამიკას წლების განმავლობაში.


#### 8. იმერეთის სასტუმროებში უცხოელი ტურისტების დინამიკა ჯგუფების მიხედვით



წყარო: სასტატო

წლიდან წლამდე ტურისტების რაოდენობაში ცვლილება არარეგულარულ ხასიათს ატარებს. შემდეგი გრაფიკი აჩვენებს ტურისტების რაოდენობების განაწილებას არსებული მონაცემების ბოლო წლისათვის (2010).


**9. 2010 წელს იმერეთის სასტუმროებში ტურისტების განაწილება ქვეყნების ჯგუფების მიხედვით**



წყარო: საქსტატი

2010 წელს ტურისტების ჯგუფების უფრო დეტალური განაწილება მათი წარმოშობის ქვეყნების მიხედვით ნაჩვენებია შემდეგ სამ გრაფიკში.

**10. 2010 წელს იმერეთის სასტუმროებში ევროპიდან ჩასული ტურისტების განაწილება ეროვნების მიხედვით**




წყარო: საქსტატი



ტურისტების საერთო ჯამიდან ყველაზე დიდი წილი - 33% - უკავია დიდ ბრიტანეთს. მას შემდეგ მოდიან ჰოლანდია და საფრანგეთი, შესაბამისად 19 და 16%-ით.


**11. 2010 წელს იმერეთის სასტუმროებში დსთ–დან ჩასული ტურისტების განაწილება ეროვნების მიხედვით**



წყარო: საქსტატი

2010 წელს, იმერეთში, დსთ–ს ქვეყნებიდან ყველაზე დიდი რაოდენობა ტურისტების ჩავიდა უკრაინიდან (33%), სომხეთიდან (24%) და აზერბაიჯანიდან (21%).

**12. 2010 წელს იმერეთის სასტუმროებში სხვა ქვეყნებიდან ჩასული ტურისტების განაწილება ეროვნების მიხედვით**




წყარო: საქსტატი

სხვა ქვეყნებს შორის, აბსოლუტური უმრავლესობა ტურისტების ჩავიდა ისრაელიდან, 2010 წელს საერთო რაოდენობის 76%. მეორე ადგილი თურქეთს უკავია 21%-ით. დანარჩენ ქვეყნებს ძალიან მცირე წილი უკავიათ.

საერთო სურათის უკეთ შესაფასებლად საინტერესოა ამ ქვეყნებიდან ჩასული ტურისტების რაოდენობების წლების მიხედვით დინამიკის შესწავლა. შემდგომი სამი დიაგრამა აჩვენებს სხვადასხვა ქვეყნების ჯგუფებიდან ჩასული ტურისტების რაოდენობებს წლების განმავლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ იმ წლებში, რომლებშიც დიაგრამაზე ქვეყნის აღმნიშვნელი წერტილები ნულს უდრის, მონაცემები არ არსებობს.


### 13. იმერეთის სასტუმროებში ყველაზე ხშირი სტუმარი ევროპული ქვეყნების დინამიკა



წყარო: საქსტატი

2010 წელს ევროპის ქვეყნებიდან ყველაზე მეტი ტურისტი დიდი ბრიტანეთიდან ჩავიდა (700 ტურისტი). მას მოსდევნა პოლანდია და საფრანგეთი. იმის მიუხედავად, რომ გერმანიიდან ტურისტების რაოდენობამ მოიკლო 2010 წელს, წლების განმავლობაში მას ერთერთი წამყვანი ადგილი ეკავა.


14. იმერეთის სასტუმროებში დსთ–ს ყველაზე ხშირი სტუმარი ქვეყნების დინამიკა



წყარო: საქსტატი

დსთ–ს ქვეყნებიდან ყველაზე ხშირი სტუმრები უკრაინელები არიან, მათ მოყვებიან სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსული სტუმრები.

15. იმერეთის სასტუმროებში ყველაზე ხშირი სტუმარი სხვა ქვეყნების დინამიკა




წყარო: საქსტატი

ისრაელიდან ჩასული ტურისტების რაოდენობა გაცილებით მაღალია ნებისმიერი სხვა ქვეყნიდან ჩასული ტურისტების რაოდენობაზე. მათი რიცხვი კიდევ უფრო

მკვეთრად გაიზარდა 2010 წელს. „სხვა“ ქვეყნებიდან მას უკრაინა და აშშ მოსდევნ.

შემდეგი გრაფიკი უჩვენებს შედარებას ყველაზე ხშირი სტუმარი ქვეყნების სამივე ჯგუფიდან.

#### 16. იმერეთის სასტუმროებში სამი ყველაზე ხშირი სტუმარი ქვეყნების დინამიკა



წყარო: საქსტატი


როგორც დიაგრამიდან ჩანს, იმერეთში ტურისტების რაოდენობა უმეტესად ისრაელიდან ჩადის. ეს რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა 2010 წელს. მას მოსდევნ დიდი ბრიტანეთი და უკრაინა, რომლებსაც დაახლოებით ერთნაირი რაოდენობა აქვთ, დიდ ბრიტანეთს ოდნავ უფრო მაღალი.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი განასხვავებს ტურისტებს მათი ვიზიტის მიზნის მიხედვით, მათ მიერ ჩამოყალიბებული ჯგუფებია:

- რეკრეაცია და დასვენება (დასასვენებლად ჩასული ტურისტები)
- ბიზნესი და პროფესიული (მივლინებაზე ჩასული ტურისტები)
- მკურნალობა (სამკურნალო კურორტებზე ჩასული ტურისტები)
- სხვა მიზანი (ტურისტები რომლებიც მეგობრებს და ნათესავებს სტუმრობენ; გავლით არიან; ნებისმიერი სხვა მიზნით არიან, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებში არ ჯდება)

შემდეგი გრაფები დაყოფენ ტურისტებს ვიზიტის მიზნის მიხედვით.

17. 2010 წელს იმერეთის სასტუმროებში ტურისტების გადანაწილება მიზნების მიხედვით




წყარო: საქსტატი

ტურისტების უმეტესობა იმერეთს სტუმრობს სამსახურთან დაკავშირებული მიზნებით (78%). დაახლოებით ერთი და იგივე რაოდენობა სტუმრობს დასასვენებლად და „სხვა“ მიზნით (დაახლოებით 10%). ძალიან მცირე რაოდენობა სტუმრობს იმერეთს სამკურნალოდ (1%–ზე ნაკლები).

შემდეგ დიაგრამაზე ნაჩვენებია ქართველი ტურისტების განაწილება ჩასვლის მიზნის მიხედვით.


18. 2010 წელს იმერეთის სასტუმროებში ქართველი ტურისტების გადანაწილება მიზნების მიხედვით



წყარო: საქსტატი

ქართველ ტურისტებს შორის კიდევ უფრო დიდი ნაწილი სამსახურთან დაკავშირებული მიზნით იყო ჩასული იმერეთში. ტურისტების მხოლოდ 8% ესტუმრა იმერეთს დასასვენებლად, 6% - „სხვა“ მიზნით და 1%-ზე ნაკლები - სამკურნალოდ.

### 19. 2010 წელს იმერეთის სასტუმროებში უცხოელი ტურისტების განაწილება მიზნების მიხედვით




წყარო: საქსტატი

უცხოელ ტურისტებს შორის სურათი ოდნავ განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე დიდი წილი კვლავ სამსახურთან დაკავშირებულ საქმიანობას უკავია, „სხვა“ მიზნით ჩასული ტურისტების რაოდენობას ასევე საგრძნობლად დიდი წილი უკავია – 23%. დასასვენებლად ჩასული ტურისტების რაოდენობაც უდნავ უფრო მაღალია – 13%. მხოლოდ სამკურნალოდ ჩასული ტურისტების წილი კვლავ 1%-ზე ნაკლებია.

შემდეგი დიაგრამები აჩვენებენ 2010 წელს ქვეყნის თითოეული ჯგუფისთვის ყველაზე ხშირი სტუმარი ქვეყნების განაწილებას მიზნის მიხედვით.


**20. 2010 წელს ევროპის ყველაზე ხშირი სტუმარი ქვეყნების განაწილება მიზნების მიხედვით**



წყარო: სასტატო

იმერეთს დაახლოებით 250 ადამიანი ესტუმრა დიდი ბრიტანეთიდან დასასვენებლად და მივლინებით. 180 ეწვია სხვა მიზნებით და არავინ სამკურნალოდ. პოლანდიიდან და საფრანგეთიდან დასასვენებლად სტუმრების უფრო მცირე რაოდენობა ეწვია (დაახლოებით 75), სამაგიეროდ უფრო მეტი იყო ჩასული სამსახურთან დაკავშირებულ საქმეზე (დაახლოებით 180).


**21. 2010 წელს დსთ–ს ყველაზე ხშირი სტუმარი ქვეყნების განაწილება მიზნების მიხედვით**



წყარო: სასტატი

დსთ-ს ქვეყნებიდან იმერეთს დასასვენებლად ძალიან ცოტა ტურისტი ეწვია. აბსოლუტური უმრავლესობა, უკრაინის გამონაკლისით, მივლინებით იყო ჩასული. უკრაინელების უმეტესობა კი ძირითადად „სხვა“ მიზნით იყო ჩასული.

**22. 2010 წელს სხვა ყველაზე ხშირი სტუმარი ქვეყნების განაწილება მიზნების მიხედვით**




წყარო: სასტატი



ისრაელიდან ჩასული ტურისტების რაოდენობა ბევრად აღემატებოდა სხვა ქვეყნებიდან ჩასულებს. თუმცა უმეტესობა სამსახურთან დაკავშირებულ საქმიანობით იყო ჩასული. მიუხედავად ამისა, დასასვენებლად ჩასული ტურისტების რაოდენობა ისრაელიდან მაინც ბევრად აღემატებოდა სხვა ქვეყნიდან დასასვენებლად ჩასულ ტურისტებს - 2010 წელს ეს იყო დაახლოებით 370 ტურისტი. თურქეთიდან ჩასული ტურისტებიდან აბსოლუტურად ყველა მივლინებით იყო ჩასული.

შემდეგი გრაფიკი აჩვენებს შედარებას იმ ქვეყნებს შორის, რომლებიდანაც ყველაზე მეტი ტურისტი ესტუმრა იმერეთს 2010 წელს.

**23. 2010 წელს ყველაზე ხშირი სტუმარი ქვეყნების განაწილება მიზნების მიხედვით**



წყარო: საქსტატი

ყველა ქვეყანას შორის, ისრაელიდან და დიდი ბრიტანეთიდან არამარტო ყველაზე დიდი რაოდენობა ესტუმრა იმერეთს, არამედ მათი ასევე ყველაზე დიდი რაოდენობა ეკუთვნოდა სტუმრების იმ კატეგორიას, რომლებიც დასვენების მიზნით იყვნენ ჩასულები.

**იმერეთის სასტუმროებში დარჩენის რაოდენობების შეფასება TBSC-ს მიერ**

როგორც უკვე აღინიშნა, საქსტატი აღრიცხავს მხოლოდ იურიდიულად დარეგისტრირებულ განთავსების ობიექტებს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქსტატი არ აღრიცხავს არაფორმალურ, პატარა, ოჯახის ტიპის განთავსების ობიექტებს და შესაბამისად, მის მიერ მოწოდებული იმერეთში დარჩენების რაოდენობები რეალურზე მცირეა. ტურისტების რაოდენობის უფრო ზუსტად

გამოსაანგარიშებლად, საჭიროა ამ პრობლემის გადალახვა. ამის ანალიზი ნაჩვენებია შემდეგ დიაგრამაზე.

საქსტატის მიხედვით, 2010 წელს იმერეთში 782 ოთახი და 1 649 საწოლი იყო, ამავედროულად GNTA-ს მიხედვით ამ პერიოდში იმერეთში 1 188 ოთახი და 2 670 საწოლი იყო. განთავსების ადგილების რაოდენობებს შორის განსხვავება 52%-ია. სხვა სიტყვებით, არსებული ოთახების და საწოლების დაახლოებით ერთი მესამედი არის დაურეგისტრირებელ განთავსების ობიექტებში.

ოთახების და საწოლების რაოდენობების გარდა, საქსტატი ასევე ითვლის სასტუმროებში ტურისტების რეგისტრაციის რაოდენობებს. რეალურთან დაახლოებული რიცხვის მისაღებად, იურიდიულად დარეგისტრირებულ განთავსების ობიექტებში დარჩენების რაოდენობა (21 416) დაკორექტირებული იქნა ოთახების იმ ნაწილის მიხედვით, რომლებიც დაურეგისტრირებელ განთავსების ობიექტებშია. შედეგად 2010 წელს განთავსების ობიექტებში შესვლის საერთო რაოდენობაა დაახლოებით 32 500 ( $\approx 21\,416 \times 1,52$ ).

#### 24. იმერეთის სასტუმროებში დარჩენების შეფასება (2010)

დასახელება	საქსტატი	GNTA	TBSC შეფასება	სხვაობა
საწოლების რაოდენობა	1,640	2,675	2,675	63%
ოთახების რაოდენობა	782	1,188	1,188	52%
მთლიანი ჩასვლები	21,416	-	32,500	11,084
საშუალო წლიური დატვირთულობა	18.85%	-	18.85%	-
წლიური ღამისთევების რაოდენობა (= საწოლების რაოდენობა * საშუალო წლიური დატვირთულობა * 365 დღე)	-	-	184,047	-
საშუალო დარჩენის ხანგრძლივობა (= წლიური ღამისთევების რაოდენობა / მთლიანი ჩასვლები)	-	-	5,7	-

წყარო: TBSC-ს ანალიზი და GNTA-ს (2012) და საქსტატის (2010) მონაცემები

ჩვენ ასევე შევაფასეთ საშუალო დარჩენის ხანგრძლივობა სასტუმროში დარჩენილი ტურისტებისთვის და მივიღეთ 5,7 ღამე ( $= 184\,047 / 32\,500$ ).

32 500 მთლიანი ჩასვლების რაოდენობა ითვალისწინებს სასტუმროში დარჩენას ნებისმიერი მიზნით. საქსტატის მიხედვით, ამ დარჩენების მხოლოდ 10 პროცენტი არის დასვენების მიზნით. ამის მიხედვით იმერეთის სასტუმროებში დაახლოებით 3 200 ტურისტი იყო ჩასული დასასვენებლად.

#### საშუალო დღიური დანახარჯის შეფასება TBSC-ს მიერ

რადგან არ არსებობს იმერეთში ვიზიტორების მიერ საშუალოდ დახარჯული თანხის სანდო წყარო, ქართველი და უცხოელი ტურისტების მიერ დახარჯული

თანხები გამოთვლილი იქნა ACT-ს მიერ USAID-ის EPI-ს პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით.

იმერეთის ვიზიტორის საშუალო დღიური დანახარჯის გამოსათვლელად, პირველ რიგში საქართველოში ვიზიტორების ყოველი კატეგორიისათვის დარჩენის შეწონილი საშუალო რაოდენობა იქნა გამოთვლილი. შემდგომში ყოველი ვიზიტორის დანახარჯი კორექტირებული იყო სახმელეთო ტრანსპორტირების ხარჯებით. რადგან ხმელეთზე ტრანსპორტირების ხარჯი ძირითადად იმერეთის გარეთ ხდება, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მისი საშუალო დანახარჯიდან ამოღება. ხმელეთზე ადგილობრივი ტრანსპორტირების დანახარჯი მათი მთლიანი დანახარჯიდან იყო დაახლოებით 18% შიდა ვიზიტორებისთვის და დაახლოებით 8% - უცხოელი ვიზიტორებისთვის. ცალ-ცალკე გამოთვლები ჩატარდა ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორებისთვის.

მომდევნო გრაფიკები აჩვენებს ვიზიტორების განაწილებას მათი მიზნების მიხედვით, ყოველი კატეგორიის საშუალო ხანგრძლივობით და საშუალო დღიური დანახარჯით.

**25. შიდა ვიზიტორის საშუალო დღიური დანახარჯი და დარჩენის ხანგრძლივობა**

#	ვიზიტის მიზანი	მთლიანი ვიზიტორების წილი	შეწონილი საშუალო დარჩენის ხანგრძლივობა	მგზავრობისას დახარჯული შეწონილი საშუალო თანხა (ლარი)	მგზავრობისას დახარჯული შეწონილი საშუალო თანხას გამოკლებული ადგილობრივი სახმელეთო ტრანსპორტირების ხარჯები (-18%) (ლარი)	დღეში ვიზიტორის შეწონილი საშუალო დანახარჯი (ლარი)
1	დასვენება და რეკრეაცია	22%	10,4	858	727	70
2	მეგობრების და ნათესავების	44%	3,2	303	257	80
3	სხვა მიზანი	34%	4,3	766	649	151
4	ჯამი	100%	5,2	583	494	96

წყარო: USAID – ადგილობრივი ტურიზმის კვლევის II ტალღა

შიდა ვიზიტორები, რომლებიც საქართველოს ფარგლებში მგზავობდნენ დასასვენებლად (22%) ყველაზე დიდი ხნით ჩერდებოდნენ - დაახლოებით 10 დღე. ამ ჯგუფის დღიური დანახარჯი დაახლოებით 70 ლარით შეფასდა. შიდა ვიზიტორები, რომლებიც მეგობრების და ნათესავების სანახავად იყვნენ ჩასულები (44%), დაახლოებით 3 დღე რჩებოდნენ. ამ ჯგუფის საშუალო დანახარჯი შეფასდა დაახლოებით 80 ლარამდე დღეში. „სხვა“ მიზეზით ჩასული შიდა ვიზიტორები ყველაზე მეტს ხარჯავდნენ დღეში, დაახლოებით 151 ლარი, მაგრამ რჩებოდნენ 4 დღით. საშუალოდ, შიდა ვიზიტორები ვიზიტის დროს დღეში 96 ლარს ხარჯავდნენ.

**26. უცხოელი ვიზიტორის საშუალო დღიური დანახარჯი და დარჩენის ხანგრძლივობა**

#	ვიზიტის მიზანი	მოლდანი ვიზიტორების წილი	შეწონილი საშუალო დარჩენის ხანგრძლივობა	მგზავრობისას დახარჯული შეწონილი საშუალო თანხა (ლარი)	მგზავრობისას დახარჯული შეწონილი საშუალო თანხას გამოკლებული ადგილობრივი სახმელეთო ტრანსპორტირების ხარჯები (-8%) (ლარი)	დღეში ვიზიტორის საშუალო დანახარჯი (ლარი)
1	დასვენება და რეკრეაცია	38%	6,7	677	627	93
2	მეგობრების და ნათესავების	25%	7,6	442	409	54
3	ბიზნესი და პროფესიული	8%	6,1	1 009	934	154
4	სხვა მიზანი	29%	6,1	390	361	59
5	ჯამი	100%	6,7	564	522	78

წყარო: USAID – საერთაშორისო ვიზიტორების კვლევის II+III+IV ტალღები

უცხოელების უმეტესობა ესტუმრა საქართველოს დასასვენებლად (38%), მეორე ყველაზე დიდი მიზეზი იყო მეგობრების და ნათესავების მონახულება (25%). მეგობრებთან და ნათესავებთან ჩამოსული უცხოელები ყველაზე დიდი ხნით რჩებოდნენ - დაახლოებით 7 – 8 დღე. დანარჩენებსაც დარჩენის ამგვარი ხანგრძლივობა ჰქონდათ, დაახლოებით 6 – 7 დღე. მივლინებაში მყოფი უცხოელები ხარჯავდნენ ყველაზე მეტს - დაახლოებით 154 ლარს დღეში. ყველაზე ნაკლები ხარჯი ჰქონდათ მეგობრებთან და ნათესავებთან ჩასულ უცხოელებს - დაახლოებით 54 ლარი. საშუალოდ, უცხოელების დღიური დანახარჯი ვიზიტის დროს 78 ლარს შეადგენდა.

თუკი საშუალო დღიური დანახარჯი ადგილობრივი ტურისტის 96 ლარს შეადგენს და უცხოელი ტურისტის - 78 ლარს, შეიძლება შეფასდეს, რომ ზოგადად ვიზიტორი საშუალოდ დღეში 90 ლარს ხარჯავს.

ეს რიცხვები მოიცავს ყველა ხარჯს ტრანსპორტირების (სახმელეთო და საჰაერო, საქართველოს ფარგლებში) გარდა. იგივე ციფრები შეიძლება ვივარაუდოთ იმერეთისთვისაც.


### 3 საქართველოს ტურისტული ნაკადები

#### ტურისტული ნაკადები საქართველოში – საქსტატი

საქსტატის თანახმად 2010 წელს საქართველოს სასტუმროებს 596 000 ტურისტი ესტუმრა. მათგან 306 000 უცხოელი და 290 000 ქართველი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს წყარო არ ფარავს ვიზიტორებს, რომლებიც დაურეგისტრირებელ სასტუმროში ან სასტუმროს ტიპის სახლში გაჩერდნენ.

მომდევნო გრაფიკი აჩვენებს საქართველოში ტურისტების რაოდენობის ცვლილებას 12 წლის განმავლობაში:


#### 27. სასტუმროებში დარჩენილი ტურისტების რაოდენობის დინამიკა საქართველოში



წყარო: საქსტატი

ათწლეულის დასაწყისში ტურისტების რაოდენობა მეტნაკლებად არ იცვლებოდა. ტურისტების რაოდენობამ საშუალო ტემპებით ზრდა 2003 წელს დაიწყო და მომდევნო წლებში ბევრად უფრო იმატა. საერთო ჯამში ზრდის ტემპი დაახლოებით 35% იყო 2003 წლის შემდგომ და მიაღწია 70%-ს 2009 – 2010 წლების პერიოდში. ტურისტების რაოდენობის პატარა შემცირება აღინიშნა 2008 წელს, რაც იმავე წელს მომხდარმა საომარმა მოქმედებებმა განაპირობა.

**28. სასტუმროებში დარჩენილი ტურისტების რაოდენობის დინამიკა წარმოშობის მიხედვით, საქართველოში**



წყარო: საესტატი

საქართველოში მოგზაური ტურისტების უმეტესობა თვითონ ქართველები იყვნენ, უცხოელი ტურისტების რაოდენობამ მხოლოდ ოდნავ შეძლო გასწრება 2004 და 2010 წლებში. ორივე ჯგუფს სწრაფი ტემპით ზრდა ახასიათებდა. შემდეგი ცხრილი აჩვენებს წლიდან წლამდე ზრდის ტემპებს ორივე ჯგუფისთვის:

**29. სასტუმროებში დარჩენილი ტურისტების ზრდის ტემპები წლების მიხედვით, საქართველოში**


#	პერიოდი		ზრდის ტემპი		
			ჯამი	ქართველები	უცხოელები
1	1999	2000	1,32%	(0,02%)	2,57%
2	2000	2001	(5,95%)	0,39%	(14,42%)
3	2001	2002	0,56%	(3,94%)	7,64%
4	2002	2003	17,19%	6,31%	32,42%
5	2003	2004	40,99%	27,33%	56,35%
6	2004	2005	30,72%	59,97%	3,94%
7	2005	2006	42,56%	51,41%	30,07%
8	2006	2007	30,06%	32,59%	25,93%
9	2007	2008	(5,70%)	(9,09%)	0,17%
10	2008	2009	31,44%	22,47%	45,52%
11	2009	2010	70,55%	45,85%	103,15%

წყარო: საესტატი

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს ზრდის ტემპი შემცირდა, უცხოელების რაოდენობამ მაინც დადებითი ზრდა შეინარჩუნა ამ პერიოდში მაშინ, როდესაც ქართველების რაოდენობამ 9%-ით მოიკლო. 2010 წელს აღინიშნა განსაკუთრებული ზრდის ტემპების მომატება, ამ პერიოდში უცხოელი ტურისტების რაოდენობა, რომლებიც სასტუმროებში გაჩერდნენ, ორჯერ გაიზარდა.

შემდეგი დიაგრამა გვიჩვენებს ტურისტების განაწილებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში:

**30. 2010 წელს სასტუმროებში დარჩენილი ტურისტების განაწილება რეგიონების მიხედვით**




წყარო: საქსტატი

ტურისტების თითქმის ნახევარი თბილისის სასტუმროებში გაჩერდა. მას შემდეგ ყველაზე დიდი რაოდენობა აჭარაში გაჩერდა, მთლიანი დარჩენებიდან 26,5%. დანარჩენ რეგიონებს ბევრად უფრო მცირე წილები უკავიათ, 0,2%-დან 6 %-მდე. იმერეთს 2010 წელს სასტუმროში დარჩენების საერთო ჯამიდან 3,6% ეკავა.

შემდეგი გრაფიკები აჩვენებს სასტუმროებში დარჩენების რაოდენობებს სხვადასხვა რეგიონებში ორი ჯგუფის - შიდა ტურისტების და უცხოელების მიხედვით.

**31. 2010 წელს სასტუმროებში დარჩენილი ქართველი ტურისტების განაწილება რეგიონების მიხედვით**



წყარო: საესტატი


შიდა ტურისტების უმეტესობამ იმგზავრა აჭარასა (35%) და თბილისში (25%). კახეთს და სამცხე-ჯავახეთს ასევე საკმაოდ მოზრდილი წილი ეკავათ - დაახლოებით 10% ორივეს. იმერეთს და ასევე მცხეთა-მთიანეთს დაახლოებით 5% ეკავათ 2010 წელს სასტუმროებში დარჩენილი ყველა ტურისტის რაოდენობიდან.

**32. 2010 წელს სასტუმროებში დარჩენილი უცხოელი ტურისტების განაწილება რეგიონების მიხედვით**





**33. საქართველოში ჩამომსვლელი ტურისტების პროგნოზი GNIA-ს მიერ**




წყარო: საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო

2011, 2012 და 2013 წლების რიცხვები პროგნოზის შედეგია. ნავარაუდები იყო, რომ 2010 წლის შემდგომ ტურისტების რაოდენობა ყოველ წელს 35%-ით მოიმატებდა.

GNTA-საც აქვს შემუშავებული პროგნოზი, მაგრამ ის მხოლოდ 2012 წლისთვისაა და ტურისტების რაოდენობა თვეების მიხედვით არის განაწილებული:

**34. საქართველოში ჩამომსვლელი ტურისტების პროგნოზი GNTA-ს მიერ**



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (GNTA)

თებერვალში მცირე შემცირების შემდეგ მოსალოდნელია, რომ ტურისტების რაოდენობა ყოველთვე დაახლოებით 10%-ით მოიმატებს ივნისამდე. ივლისში 36%-იანი ზრდა არის მოსალოდნელი. ტურისტების რაოდენობა აგვისტოსში პიკს მიაღწევს და დაახლოებით 396 000-ს შეადგენს. ამის შემდეგ რაოდენობა ნელ-

ნელა კლებას დაიწყებს დეკემბრამდე, როდესაც ის 14%-ით გაიზრდება. საერთო ჯამში 2012 წელში GNTA 3 373 000 ტურისტს ელოდება, რაც 20%-იანი ზრდაა წინა წელს მოგზაური ტურისტების რაოდენობასთან შედარებით.

სამწუხაროდ არ არსებობს კონკრეტულად იმერეთის შესახებ გაკეთებული პროგნოზი.

## 4 განთავსების ობიექტები

### იმერეთში განთავსების ობიექტების განაწილება

GNTA-ს ბაზის მიხედვით იმერეთში საერთო ჯამში 68 განთავსების ობიექტი არსებობს, მათგან 33 სასტუმროა, 3 - სასტუმროს ტიპის სახლი, 28 - ოჯახური სასტუმრო და 4 - სანატორიუმი. არცერთი სასტუმრო არ წარმოადგენს საერთაშორისო ქსელს და მათი უმეტესობა 3 ვარსკლავზე ბევრად უფრო დაბალია. მხოლოდ 9 სასტუმრო შეიძლება შეფასდეს, როგორც 3 ვარსკლავიანი, ისიც ადგილობრივი სტანდარტების მიხედვით, რომელიც მეტ-ნაკლებად ხარისხიან განთავსების გამოცდილებას იძლევა.

### 35. იმერეთის განთავსების ობიექტები ქალაქების მიხედვით

#	მუნიციპალიტეტი	სასტუმროების რაოდენობა	სასტუმროები			სასტუმროს ტიპის სახლების რაოდენობა	სხვა განთავსების ობიექტები
			3* მეტი	3*	3* ნაკლები		
1	ქუთაისი	18	0	7	11	3	15
2	ზესტაფონი	1	0	0	1	0	1
3	წყალტუბო	6	0	0	6	0	1
4	ბაღდათი	3	0	2	1	0	2
5	სამტრედია	1	0	0	1	0	0
6	ტყიბული	1	0	0	1	0	9
7	საჩხერე	1	0	0	1	0	0
8	ჭიათურა	1	0	0	1	0	1
9	ხონი	1	0	0	1	0	0
10	თერჯოლა	0	0	0	0	0	1
11	ვანი	0	0	0	0	0	1
12	ხარაგაული	0	0	0	0	0	1
13	ჯამი	33	0	9	24	3	32

წყარო: ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი და TBSC-ს ანალიზი

სასტუმროების ზომა საკმაოდ მცირეა, მათი უმეტესობა 50 ოთახს არ აჭარბებს. გამონაკლისებს წარმოადგენს საირმეს სასტუმრო, რომელიც ახლახან განახლდა და 150 ოთახს მოიცავს და წყალტუბოს სპა კურორტი (104 ოთახი).


**36. ინფორმაცია იმერეთის განთავსების ობიექტების შესახებ (2010)**

#	დასახელება	მნიშვნელობა
1	სასტუმროების რაოდენობა	34
2	ოთახების მთლიანი რაოდენობა	782
3	სუიტი	60
4	ერთადგილიანი	119
5	ორადგილიანი	409
6	სამი ან მეტი ოთახი	194
7	მთლიანი ფართობი (ათასი მ2)	14 857
8	საწოლების მთლიანი რაოდენობა	1 640

წყარო: საქსტატი

საქსტატის მიხედვით, 2010 წელს იმერეთში სასტუმროების მთლიანმა რაოდენობამ 34 შეადგინა და საწოლების რაოდენობამ კი – 1 640. არსებობდა 782 ოთახი, საიდანაც უმეტესობა (409 ოთახი) ორსაწოლიანი იყო. სასტუმროს ოთახებისთვის დათმობილი საერთო ფართობი 14 000 მ2–ს წარმოადგენდა.

**37. იმერეთის განთავსების ობიექტების დინამიკა**



წყარო: საქსტატი

საწოლების რაოდენობამ პიკს მიაღწია 2006 წელს და მის შემდეგ კლებულობდა. აღინიშნა მომატება 2010 წელს, მაგრამ სამწუხაროდ უფრო ახალი ინფორმაცია ამჟამად არ არსებობს. სავარაუდოდ საწოლების რაოდენობას მკვეთრად უნდა მოემატა ბოლო ორი წლის განმავლობაში.

**38. იმერეთის სასტუმროების დატვირთულობის საშუალო კოეფიციენტი**

#	დასახელება	2010
1	დატვირთულობის კოეფიციენტი (საშუალო წლიური)	18,65%


წყარო: საქსტატი

საქსტატის მიხედვით 2010 წელს სასტუმროების დატვირთულობის კოეფიციენტი 18,85%-ს მიაღწია. სამწუხაროდ არ არსებობს თვიური კოეფიციენტი, რომ შესაძლებელი იყოს სეზონების მიხედვით დატვირთულობის განხილვა. დარჩენის ხანგრძლივობის მონაცემებიც ასევე არ არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს იმერეთის სასტუმროების ყოველთვიური დატვირთულობის კოეფიციენტი, ჩვენ ხელთ არსებული ერთ-ერთი კონკრეტული ქუთაისში განლაგებული სასტუმროს მაგალითით, შესაძლებელია მასზე ზოგადი შთაბეჭდილების ჩამოყალიბება.

### 39. იმერეთის ერთ-ერთი (კონკრეტული) სასტუმროს დატვირთულობა

დატვირთულობის კოეფიციენტი



წყარო: იმერეთის ერთ-ერთი სასტუმრო

2010 წელს იმერეთის სასტუმროებში 331 ადამიანი იყო დასაქმებული. მათგან ნახევარზე ოდნავ ნაკლები ქალი იყო (ეს რიცხვი 2010 წელს ეკუთვნის, რაც საკმაოდ დიდი სასტუმროს, საირმეს, გახსნამდე არის დათვლილი).

### 40. იმერეთის სასტუმროებში დასაქმება (2010)

#	დასახელება	მნიშვნელობა
1	კაცი	182
2	ქალი	149
3	ჯამი	331

წყარო: საქსტატი

იმერეთის სასტუმროში ორადგილიანი ოთახის ფასი მერყეობს 100–დან 180 ლარამდე დღე–ს ჩათვლით. ყველაზე მსხვილი სასტუმროები და მათი ფასები მოცემულია შემდეგ ცხრილში.

#### 41. იმერეთის ყველაზე მსხვილი სასტუმროები

#	სასტუმრო	ადგილმდებარეობა	ოთახების რაოდენობა	ვარსკლავი (ადგილობრივი სისტემით)	ერთადგილიანი ოთახის ფასი (ლარი)	ორადგილიანი ოთახის ფასი (ლარი)
1	სასტუმრო საირმე	საირმის კურორტი	150	3*	120	140
2	ოზისის სასტუმრო და სპა	წყალტუბო	110	3*	180	150
3	სასტუმრო ბაგრატი	ქუთაისი	16	3*	140	180
4	სასტუმრო რჩეული	ქუთაისი	15	3*	105	135
5	სასტუმრო აეიტეს სასახლე	ქუთაისი	13	3* ნაკლები	100	150
6	სასტუმრო ძეგლი ქალაქი ქუთაისი	ქუთაისი	10	3* ნაკლები	100	130
7	სასტუმრო იმპერია	ქუთაისი	25	3* ნაკლები	120	120

წყარო: ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი და TBSC-ს ანალიზი

## 5 დაცული ტერიტორიების ვიზიტორების სტატისტიკა

2011 წელს საერთო ჯამში 168 162 ვიზიტორი ესტუმრა იმერეთის დაცულ ტერიტორიებს, მათ შორის ქართველები და უცხოელი ტურისტების რაოდენობა თითქმის ერთმანეთს უდრის.

### 42. 2011 წელს იმერეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორების სტატისტიკა


#	დაცული ტერიტორია	ქართველები	უცხოელები	ჯამი
1	კარსტული გამოქვაბულები და მღვიმეები	69 534	82 415	151 949
2	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი	10 783	5 430	16 213
3	ჯამი	80 317	87 845	168 162

წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

იმერეთის რეგიონში საჭირო ინფრასტრუქტურა და სხვადასხვა ტურები მხოლოდ რამოდენიმე დაცულ ტერიტორიას გააჩნია, კერძოდ: სათაფლიას, პრომეთეს მღვიმეს და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს.

2011 წელს ვიზიტორების რაოდენობა, რომელიც ესტუმრა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს თვეების მიხედვით მოცემულია შემდეგ დიაგრამაზე.


### 43. 2011 წელს ბორჯომ-ხარაგაულის პარკის ვიზიტორების რაოდენობა



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო



44. 2011 წელს იმერეთის ყველაზე პოპულარულ კარსტულ მღვიმეებში  
 ვიზიტორების რაოდენობა



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

მომზადებულია:



თანამშრომლობით:



ბარსელონა / თბილისი, 2012 წლის 1 აგვისტო